,,ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური ჩართულობა“

ზუგდიდი

Women's Room
ქალთა ოთახი

პროგრამის მიზანი

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალთა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;



- იმ ოჯახების სოციალურ ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, ტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;

- ქალებისა და ახალგაზრდების მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, ქალების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამით მოსარგებლე პირები

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, 18 წელს მიღწეულ **ფიზიკური პირ - ქალს ან 18–35 წლამდე ახალგაზრდას**, ან **ქალთა საინიციატივო ჯგუფს ან ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფს**, რომლებსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ, ან იურდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება. საინიციატივო ჯგუფის პასუხისმგებელი პირი რეგისტრირებული უნდა იყოს შუახევის მუნიციპალიტეტში.

ინდივიდუალური მეწარმე.

მეწარმე იურდიული პირი.

კონკურსში მონაწილეობა ეზღუდებათ:

❌ ბენეფიციარს, საინიციატივო ჯგუფის წევრს, რომელიც არის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული გასულ წლებში.

❌ პირს, რომელიც რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

❌ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა.

📌

- დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ერთი პროექტის შემოტანის უფლება აქვს კონკურსის ფარგლებში.
- განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.
- პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდებიან: შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის თანამდებობის და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები და მათი ოჯახის წევრები, საკრებულოსა და მერიაში დასაქმებული საჯარო მოხელეები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ/დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები და მათი ოჯახის წევრები.

პროგრამით გათვალისწინებული დახმარება

პროექტი გულისხმობს მცირე, დამწყები და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტი არა უმეტეს 16 500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარით იქნება დაფინანსებული.

- პროექტის მინიმალური ბიუჯეტი 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი 16 500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი.

პროგრამა დაფინანსდება, გამარჯვებული პირის/ჯგუფის თანამონაწილეობით.

ფინანსური თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს განმცხადებელის მოთხოვნილი თანხის 30%-ს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები, შშმ პირები, ვეტერანები, ძალადობის მსხვერპლები, მრავალშვილიანი და მარტოხელა სტატუსის მქონე პირები ისარგებლებენ 20%-იან თანამონაწილეობით.

❖ თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობა.

უპირატესობა ენიჭებათ:

პრიორიტეტული კატეგორიები (20%-იანი თანამონაწილეობის პირობებით)

უპირატესობა ენიჭებათ და 20%-იანი თანამონაწილეობის პირობით ისარგებლებენ შემდეგი კატეგორიის პირები:

1.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმ პირები), აგრეთვე ქალები და 18-35 წლამდე ახალგაზრდები.

2. ძალადობის მსხვერპლი ქალები და 18-35 წლამდე ახალგაზრდები.

3. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, მათ შორის დედები და 18-35 წლამდე ახალგაზრდა მშობლები.

4. მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირები (ოთხი ან მეტი 18 წლამდე შვილის შემთხვევაში), მათ შორის დედები და 18-35 წლამდე ახალგაზრდა მშობლები.

5. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები.

6. შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები.

- აღნიშნულ კატეგორიას მიკუთვნებულმა პირმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- განაცხადი, რომელიც არ დააკმაყოფილებს შუახევის მუნიციპალიტეტში განმცხადებლის რეგისტრაციის მოთხოვნას, განუხილველად დარჩება.

პროგრამის განხორციელების ეტაპები

პირველი ეტაპი - ბიზნეს გეგმის განაცხადის წარდგენა/შეფასება;

მეორე ეტაპი - ადგილზე ვიზიტი;

მესამე ეტაპი - გასაუბრება;

მეოთხე ეტაპი - გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება.

გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება, კონკურსის შერჩევა/შეფასების წესით, ადგილზე ვიზიტითა და გასაუბრებაზე მიღებული ქულათა ჯამით.

მერია უფლებამოსილია განახორციელოს გამარჯვებული პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი.

პროექტების წარმოდგენა შესაძლებელია

ტურიზმი (ტურიზმთან დაკავშირებული ინოვაციური იდეები)

საოჯახო ტიპის სასტუმროს/კოტეჯის/სასტუმროს ბიზნესგეგმის განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა, რომელიც მდებარეობს განმცხადებლის საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში, ან მის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და არ წარმოადგენს საცხოვრისს.

სოციალური/საგანმანათლებლო საკითხები.

სოფლის მეურნეობა.

პროგრამის თანხით არ დაფინანსდება

1. სატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

2. ბიოლოგიური აქტივის შეძენა (მაგ: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველები, ფუტკრები და ა.შ.).

3. უძრავი ქონების შეძენა.

4. ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან/და ვაჭრობა.

5. თამბაქოს წარმოება ან/და ვაჭრობა.

6. პროექტის განხორციელების ეტაპზე რაიმე სახის ანაზღაურების მიღება.

7. რელიგიური ღონისძიებები.

8. კვლევები.

9. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები.

10. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა.

11. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა.

12. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები.

13. ხელფასები და მიმდინარე ხარჯები.

14. მეორეული ნივთების შეძენა.

15. კოტეჯების მშენებლობა.

16. საზაფხულო იალაღებზე განთავსებული სასტუმროები/კოტეჯები/საოჯახო ტიპის სასტუმროები.

17. ნახევარფაბრიკატები.

18. საკონდიტროები.

19. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

შეფასების კრიტერიუმები

✓ **საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად, კომისია შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს:**

1. კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა;
2. პროექტის დამაჯერებელი და ფაქტებით გამყარებული დასაბუთება;
3. პროექტის შედეგზე ორიენტირებული;
4. მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი;
5. ფინანსური დაგეგმარება, ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა;
6. პროექტის შედეგების მდგრადობა;
7. საშემოსავლო საქმიანობის ბიზნეს-გეგმის რეალისტურობა;
8. საშემოსავლო საქმიანობის განხორციელების პოტენციური ადგილი და გაყიდვების გეოგრაფია;
9. მართვის პოტენციალი;
10. პროექტის განხორციელების პერსპექტიულობა;
11. განმცხადებლის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია.

საოჯახო ტიპის სასტუმროს/კოტეჯის/სასტუმროს ბიზნეს გეგმის განაცხადის განაცხადის შეფასებისას კომისია უპირატესობას მიანიჭებს და დამატებით იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით

- საოჯახო ტიპის სასტუმროს/კოტეჯის/სასტუმროს იდეის დაფინანსების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადებს, რომელთაც დამატებით სერვისად წარმოდგენილი აქვთ ეკო-ტურიზმისა და აგრო-ტურიზმის კომპონენტები, როგორიცაა: ეკო-ტურისტული მარშუტები (ბუნებაში გასეირნება, გარემოსდაცვითი აქტივობები),
- აგრო-ტურისტული გამოცდილება (ფერმერულ საქმიანობაში ჩართვა, ადგილობრივი პროდუქციის დეგუსტაცია და დამზადება).
- საოჯახო ტიპის სასტუმრომ/კოტეჯმა/სასტუმრომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას, ლოკალური მოსახლეობის ჩართულობას და დასაქმების პოტენციალისა და მდგრადი ტურისტული პროდუქტების შექმნას.
- ეთნოგრაფიული ექსპონატი.
- კულტურული რესურსების გამოყენება.
- საოჯახო ტიპის სასტუმროს/კოტეჯის/სასტუმროს პერსპექტიულობა (ტურისტულად მიმზიდველი ლოკაცია, მარტივი წვდომა ტრანსპორტთან, ინფრასტრუქტურის არსებობა წყალი, გზა, ინტერნეტი და სხვა).
- მარკეტინგული სტრატეგია (როგორ მიიზიდავენ სტუმრებს ონლაინ პლატფორმები, სოციალური მედია, ტურისტული სააგენტოები. კონკურენტული უპირატესობები).
- მართვის გამოცდილება და კომპეტენცია ტურიზმის ან სტუმართ მასპინძლობის სფეროში. ტურიზმთან დაკავშირებული განათლება.
- ფინანსური ანალიზი (საწყისი ინვესტიციის საჭიროება, შემოსავლების პროგნოზი- ფასები, სეზონურობა, ხარჯების ანალიზი).
- უპირატესობა მიენიჭება საოჯახო ტიპის სასტუმროს/კოტეჯის/სასტუმროს დამატებითი სერვისის შეთავაზებას.
- ტურისტული პროექტების მრავალფეროვნება.
- უპირატესობა მიენიჭება თანამონაწილეობის თანხის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში დადგენილი თანამონაწილეობის თანხის ზღვარის ზემოთ ფინანსურ მონაწილეობას.

ბიზნეს გეგმის განაცხადის დანართები

ბიზნეს გეგმის განაცხადი წარმოდგენის დროს/კონკურსის პირველ ეტაპზე, კონკურსანტმა დანართის სახით უნდა წარმოადგინოს:

1. განმცხადებლის, პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ცნობა მოვალეთა რეესტრიდან, ცნობის წარმოუდგენლობის და პირის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

3. შესაძენი ნივთების ინვოისები (უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესასყიდი საქონლის (კანონის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში) საბაზრო ფასებთან შესაბამისობის/ადეკვატურობის დადებითი დასკვნა).

4. ბიზნესის განხორციელების ადგილის (შენობა ან მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება) საკუთრების ან/და თანასაკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. (ბიზნესი შეიძლება განხორციელდეს შენობაში, რომელიც არ არის საკუთრებაში, თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც შენობა დგას, არის განმცხადებლის საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში).

5.თანასაკუთრების შემთხვევაში, სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

6. კონკურსანტმა (20% თანამონაწილეობის შემთხვევაში) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7. ქალთა ან 18–35 წლამდე ახალგაზრდა ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში – ჯგუფის წევრთა თანხმობები.

8. ბიზნეს-გეგმის განხილვის პროცესში, შესაძლოა შესაბამისმა კომისიამ განმცხადებელს მოთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, სამი ან მეტი სამუშაო დღის ვადაში.

აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროექტი არ დაფინანსდება.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია ხელშეკრულების გაფორმებამდე

- ბიზნეს გეგმის განაცხადის პროექტი;
- გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად/ინდივიდუალურ მეწარმედ ან მეწარმე იურდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მეწარმის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ცნობა, რომ მეწარმე სუბიექტს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება და ანგარიშზე ყადაღა კომერციულ ბანკში, რომლიდანაც წარმოადგენს ანგარიშის რეკვიზიტებს;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარმოდგენის საჭიროებასაც განსაზღვრავს დამატებით კომისია.

❌ **აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროექტი არ დაფინანსდება.**

ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამის თანხის ჩარიცხვის შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს

- თანამონაწილეობის და პროგრამის თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ა) პროდუქციის/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სასაქონლო ზედნადები (RS.GE) ან/და
- საგადასახადო დოკუმენტი(RS.GE);

- ბ) თანხის გადახდის და ზემოაღნიშნული დოკუმენტებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სალაროს ქვითარი (იმავე ოდენობაზე)ან/და
- ბანკის გადარიცხვის ქვითარი (იმავე ოდენობაზე)ან/და
- კომერციული ბანკის სალარო (POS) ტერმინალის ქვითრიან/და
- ჩგდ - ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (იმავე ოდენობაზე)ან/და
- სალაროს შემოსავლის ორდერი (მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემთხვევაში)(1)

- გამარჯვების შემთხვევაში ბენეფიციარი პირველ ეტაპზე ახორციელებს თანამონაწილეობის თანხის გახარჯვას რის შემდეგაც წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტებს ზედნადებებს, ქვითრებს და სხვა. შემდეგ კი ერიცხება პროგრამით გათვალისწინებული თანხა, (ნივთის ერთიანი ღირებულების შემთხვევაში არ მოქმედებს აღნიშნული პირობა, ამ შემთხვევაში აღნიშნული თანხა განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს).

- პროექტი უნდა განხორციელდეს შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე.

- მერია უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ დააკმაყოფილებს შერჩევის პროცესებს და კრიტერიუმებს.

ბიზნეს გეგმის განაცხადების მიღება

ბიზნესი გეგმის შემოტანის წესი:

განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება მატერიალური ფორმით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში, შემდეგ მისამართზე: შუახევის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა №22, შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული.

ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური ჩართულობა

591 98 20 19

www. shuakhevi.gov.ge